



**მცირე და საშუალო ბიზნესების  
მხარდამჭერი ღონისძიებები  
COVID-19-ის პანდემიის პირობებში  
საქართველოსა და მსოფლიოში**



# მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდამჭერი ღონისძიებები COVID-19-ის პანდემიის პირობებში საქართველოსა და მსოფლიოში

ავტორი: გიორგი ბულია

საქართველოში სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები (SME-ები)<sup>1</sup>, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. აღნიშნული სექტორი დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. კონკრეტულად საქართველოში საწარმოთა დაახლოებით 94%-ს მცირე და საშუალო ზომის საწარმოები შეადგენს. დასაქმების სტატისტიკის მიხედვით, SME-ები კვლავ რჩებიან მთავარ დამსაქმებელ სეგმენტად ქვეყანაში. 2000 წლიდან დღემდე, SME-ებში დასაქმებული პირების წილი კერძო და სახელმწიფო სექტორში 63%-დან 73%-მდე მერყეობს, ხოლო 2019 წელს, მისმა წილმა 64% შეადგინა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის მნიშვნელობაზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმებაში.

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, ორმაგად მნიშვნელოვანია იმ ნაბიჯების გაანალიზება, რომელიც მიმართულია ქართული ბაზრის სიჭანსადის შენარჩუნებისა და კრიზისული პერიოდის მინიმალური დანაკარგებით გადალახვისკენ. პირველ რიგში საინტერესოა საერთაშორისო პრაქტიკა და იმ ზომების მიმოხილვა, რომელსაც მიმართეს ქვეყნებმა მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მხარდასაჭერად მიმდინარე კრიზისულ პერიოდში, რომელიც გამოიწვია COVID-19-ის ვირუსის მასობრივად გავრცელებამ და მთელი მსოფლიოს მასშტაბით საგანგებო მდგომარეობებისა და კარანტინის გამოცხადებამ.

კრიზისულ პერიოდში, მოსალოდნელია შრომითი ძალის როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის შემცირება. სამუშაო ძალის მიწოდების კუთხით, დასაქმებულები იძულებულნი არიან გაუფრთხილდნენ საკუთარ და საკუთარი ოჯახის წევრების ჯანმრთელობას და დარჩნენ შინ, რაც გავლენას ახდენს მათი მუშაობის ეფექტურობაზე. ასევე რიგ შემთხვევებში სასწავლო დაწესებულებების დახურვის გამო, მცირეწლოვანი ბავშვების მოსავლელად აუცილებელი ხდება მშობლების სახლში დარჩენა, რაც ასევე გავლენას ახდენს სამუშაო ძალის მიწოდებაზე. მოთხოვნის მხრივ კი SME-ებისთვის მოთხოვნისა და შემოსავლების დრამატულმა კლებამ

<sup>1</sup> მცირე და საშუალო საწარმოები (SME) განისაზღვრება საწარმოთა ბრუნვის მოცულობისა და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს, ხოლო წლიური ბრუნვა კი 500 ათას ლარს. ხოლო საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 100-მდე, ხოლო წლიური ბრუნვა არა უმეტეს 1,5 მლნ ლარია.

შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მათ სრულყოფილად ფუნქციონირებას. პანდემიას აქვს და მომავალშიც ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა საფინანსო ბაზარზე, სადაც აღნიშნული ეფექტების მასშტაბები დამოკიდებული იქნება საფინანსო ინსტიტუტების მდგრადობაზე. ეფექტები გავლენას მოახდენს როგორც დიდ, ასევე საშუალო და მცირე ზომის საწარმოებზე, თუმცა SME-ების გარე ფაქტორებისგან ნაკლები დაუცველობიდან გამომდინარე, მათზე უარყოფითი ეფექტები გაცილებით ძლიერი იქნება. აღნიშნული შედეგები განსაკუთრებით თვალსაჩინო იმ სექტორებში იქნება, სადაც მთავრობის მიერ შემოღებულია მთელი რიგი შეზღუდვები. SME-ებს ასევე ნაკლები რესურსები გააჩნიათ შეზღუდვებით გამოწვეული ზარალის აღსადგენად და შესაბამისად ყველაზე მეტად მათ სჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან დახმარება.

რიგმა ქვეყნებმა კომპანიათა მხარდამჭერ უამრავ მეთოდს მიმართეს, რათა მათ შეძლონ უმოკლეს ვადაში სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც თავის მხრივ უფრო ფართო ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია:

## ევროპა

ევროკავშირის სულ მცირე 22-მა ქვეყანამ გამოაცხადა ახალი საგარანტიო სქემები, რომელიც ფინანსური სიძნელების დროს კომპანიათა ფინანსებთან წვდომის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. რაც შეეხება SME-ებს, სულ მცირე 15-მა ქვეყანამ შემოიღო სესხების ახალი სქემები, რომელიც კონკრეტულად მათი ფულადი სახსრებით მომარაგებაზეა ორიენტირებული. ევროკავშირის 11-მა ქვეყანამ გადაავადა სესხების დაფარვა მიკრო ბიზნესებისა და თვითდასაქმებულებისათვის და სულ მცირე 10-მა ქვეყანამ შემოიღო მათთვის პირდაპირი ფულადი გრანტები. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა აქტიურად დაიწყეს ასევე დასაქმებულთა ანაზღაურების სუბსიდირება, რაშიც ჯერჯერობით 20 ქვეყანაა ჩართული.

გერმანიაში ხელისუფლებამ შეიმუშავა COVID 19-ის პანდემიის შედეგების შემამსუბუქებელი კანონპროექტი სახელწოდებით „Draft law to mitigate the consequences of the COVID 19 pandemic in civil, insolvency and criminal procedure“. პაკეტში 400 მილიარდი ევროა გათვალისწინებული კომპანიათა ვალდებულებების, ობლიგაციებისა და სესხების გარანტიის უზრუნველსაყოფად. დამატებით ასევე მოხდება 100 მილიარდი ევროს გამოყოფა პრობლემური კომპანიების სტაბილიზაციისათვის. გაფართოვდება ასევე გერმანიის ეროვნული ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული საჯარო სასესხო პროგრამა. სხვადასხვა სასესხო პროგრამების პირობების მიხედვით, კომპანიებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სესხები კომერციული ბანკებიდან გერმანიის ეროვნული ბანკის უზრუნველყოფით. იგეგმება ასევე სახელმწიფოს საგარანტიო წილის 80%-დან 90%-მდე გაზრდა. სპეციალურად მცირე ბიზნესებისთვის, ფრილანსერებისა და თვითდასაქმებული მენარმეებისათვის პაკეტში გათვალისწინებულია მოკლევადიანი ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა (უკან დაბრუნების ვალდებულების გარეშე) 15,000 ევრომდე, სადაც თანხის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება დასაქმებულთა რაოდენობაზე.

რიგმა ევროპულმა ქვეყნებმა (ბელგია, საფრანგეთი, და ა.შ) შემოიღეს დროებითი საგადასახადო შემცირებები და საგადასახადო კრედიტები (იტალია). იტალიამ აქცენტი დარგობრივ

დახმარებებზე გააკეთა (განსაკუთრებით ტურისტულ სექტორში). ასევე იტალიაში, მთავრობის მხარდაჭერით, იტალიის საბანკო ასოციაცია და რამოდენიმე ბიზნეს ასოციაცია შეთანხმდა ფართო მასშტაბიან მორატორიუმზე დავალიანებების დაფარვის კუთხით, მათ შორის იპოთეკურ და მცირე სესხებზე. საფრანგეთმა შემოიღო პირდაპირი ფინანსური დახმარებები SME-ებისთვის, როგორცაა სახელმწიფო საინვესტიციო ბანკების მიერ გამოცხადებული საჭარო გრანტები. საფრანგეთშივე ხელისუფლება SME-ებს სთავაზობს შუამავლის როლს მათსა და მომწოდებებს/კლიენტებს შორის, რომელიც გულისხმობს კრედიტის პირობების ხელახლა გადახედვას და შემსუბუქებას. საფრანგეთმა და ბელგიამ შეაჩერეს ჯარიმები სამთავრობო კონტრაქტებზე გადახდების ვადაგადაცილებასა და შეფერხებაზე. გამოსარჩევია ასევე ისრაელი, რომელმაც ბანკებისთვის კრედიტების დასამტკიცებლად საჭირო დრო შეამცირა.

ბულგარეთში შემოიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს კერძო სექტორში დასაქმებულების ანაზღაურების 60%-ის დაფარვას. თუმცა ჯერჯერობით უცნობია ის კონკრეტული სექტორები, რომელზეც გავრცელდება აღნიშნული სქემა. გარდა ამისა, გაუქმდა როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ჯარიმები (კონტაქტის შეწყვეტა და ქონების ჩამორთმევა) გადასახადების დაგვიანებაზე კერძო საწარმოების მიმართ. გრანტის სახით გამოიყო 500 მილიონი ევრო, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსებთან წვდომის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. დამატებით ასევე მოხდა 4.76 მილიარდი ევროს მობილიზება ბულგარეთის ეროვნული ბანკის მიერ საბანკო სისტემის გამძლეობის შენარჩუნების მიზნით. მცირე და საშუალო ზომის საწარმოთათვის წლიური ფინანსური ანგარიშების წარდგენის ვადამ გაზაფხულიდან ზაფხულამდე გადაინა. ასევე გადავადდა წლიური საგადასახადო დეკლარაციების წარდგენის თარიღი.

### ა.შ.შ

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შემოიღო ეკონომიკური კატასტროფის სესხის პროგრამა მცირე ზომის საწარმოებისათვის (EIDL). EIDL პროგრამა მცირე ბიზნესებს სთავაზობს სესხებს 2 მილიონ ამერიკულ დოლარამდე, რომელიც მათ სასიცოცხლო ეკონომიკურ დახმარებას გაუწევს მიმდინარე საშემოსავლო დანაკარგების მინიმიზაციაში. მცირე ზომის საწარმოებში პროგრამის მიხედვით მოიაზრება საწარმოები 500-ზე ნაკლები დასაქმებულთ. მიუხედავად იმისა, რომ გეგმის მიხედვით EIDL პროგრამა 2020 წლის 31 დეკემბრამდე უნდა ყოფილიყო ღია, ამჟამად იგი ვერ ღებულობს ახალ განაცხადებს ხელმისაწვდომი არა საკმარისი ფინანსების გამო. უკვე მიღებული აპლიკაციების მომსახურება კი ხორციელდება რიგითობის წესის (first-come, first-served) მიხედვით. საპროცენტო განაკვეთები მცირე ზომის საწარმოებისთვის არის 3.75%, ხოლო არა კომერციული ორგანიზაციებისათვის 2.75%.

გარდა ზემოთ აღნიშნული სესხისა, მცირე ზომის საწარმოებს ასევე შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი ეკონომიკური ზიანისთვის განკუთვნილი სესხის წინასწარ მიღებაზე 10,000 ამერიკული დოლარის ოდენობით უკან დაბრუნების გარეშე. აპლიკაციის შევსების შემდეგ, მისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში არა უმეტეს სამი დღის ვადაში შესაძლებელი იქნება თანხის მიღება.

ა.შ.შ-ს მცირე ბიზნესების ადმინისტრაცია (SBA) ასევე უზრუნველყოფს მცირე ბიზნესებს შემდეგი შეღავათებით დადაფარავს:

- 2020 წლის 27 სექტემბრამდე გაცემული სესხების პროცენტებსა და ძირს.
- მიმდინარე სესხების ძირსა და პროცენტებს ექვი თვის განმავლობაში.

### აზია და დანარჩენი მსოფლიო

იაპონიამ SME-ების მხარდასაჭერად უპროცენტო სესხების გირაოთი უზრუნველყოფის გარეშე გაცემა დააანონსა. ავსტრალიაში აქტიურად შემოიღეს დროებითი საგადასახადო შემცირებები და ამასთანავე მნიშვნელოვანი აქცენტები გააკეთეს დარგობრივი სექტორების დახმარებაზე, განსაკუთრებით ტურისტულ სექტორში. აღნიშნული კუთხით, გარდა ავსტრალიისა, ასევე გამოსარჩევია ჩილე. ავსტრალიაშივე შემუშავდა მენტორული პროგრამები და საფინანსო ტრენინგები, რომელიც ითვალისწინებს მცირე საწარმოთა დახმარებას Covid-19 ვირუსით გამოწვეული სირთულეების დაძლევაში. სამხრეთ კორეაში შემოღებულ იქნა დებიტორული დაზღვევა, ხოლო ახალი ზელანდიის მთავრობა მომხმარებლებს მოუწოდებს, რომ მცირე ბიზნესებისადმი მათი ვალდებულებები გადახდილ იქნეს 10 დღის ვადაში. რიგ აზიურ ქვეყნებში (სინგაპური, მალაიზია, კორეა და ა.შ) კომერციულმა ბანკებმა შეიმუშავეს მხარდამჭერი პაკეტები, რომელიც მოიცავს სასწრაფო სესხებს მათი კლიენტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და უკვე არსებული სესხების პირობების შემსუბუქებას.

### საქართველო

საქართველოში, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, COVID 19 ვირუსით გამოწვეული ზარალის საკომპენსაციოდ მიღებულ იქნა ზომები როგორც ხელისუფლების, ასევე კომერციული ბანკების მიერ ბიზნესის დასახმარებლად. საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადდა გრანტი 2 მილიარდი ლარის ოდენობით, რომლის განკარგვის დეტალური გეგმა ჯერჯერობით უცნობია. მოიაზრება, რომ აღნიშნულ გრანტში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ქართული მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და უახლოეს მომავალში გაუღერდება თუ რა ფორმით მოხდება მათთვის დახმარების გაწევა.

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოსთან არსებულმა სააგენტო „წარმოე საქართველოში“-მ თანადაფინანსების ახალი პროექტი წამოიწყო. პანდემიით ყველაზე მეტად დაზარალდა ტურიზმის ინდუსტრია და შესაბამისად სასტუმროების ბიზნესი, რომლის დახმარებასაც ისახავს მიზნად აღნიშნული პროგრამა. პროგრამა მიმართულია საოჯახო, მცირე და საშუალო ტიპის სასტუმროების კომერციული ბანკებისადმი ვალდებულებების შემსუბუქებისკენ, რათა მათ კვლავ შეძლონ ბაზარზე ოპერირება. პროგრამის ფარგლებში 2020 წლის პირველი მარტიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში მეწარმე სუბიექტებისთვის დარიცხული წლიური სარგებელი დაფინანსდება. პროგრამა შეეხება როგორც პირველ მარტამდე, ასევე მის შემდეგ წარმოშობილ სასესხო ვალდებულებების დაფარვას (თუმცა სესხი უნდა იყოს გაცემული 2020 წლის პირველ მარტამდე). ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების თანადაფინანსება მოხდება არაუმეტეს 80%-ის ოდენობით, ხოლო სესხის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 1 მილიონ ლარს. უცხოურ



ვალუტებში გაცემული სესხების შემთხვევაში თანადაფინანსება მოხდება არაუმეტეს 70%-ის ოდენობით. ამერიკული დოლარისა და ევროს შემთხვევაში, სესხების მაქსიმალური მოცულობაა შესაბამისად 300,000 ამერიკული დოლარი და 250,000 ევრო.


რიგმა კომერციულმა ბანკებმა (საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ვითიბი ბანკი, ლიბერთი ბანკი, ბაზის ბანკი) მოახდინეს სესხებზე შეღავათების დაწესება და სამი თვის მანძილზე მომხმარებლები გაათავისუფლეს სესხის ძირითადი ნაწილისა და პროცენტის გადახდისგან. აღნიშნული სერვისით სარგებლობა ყველა ზემოთ აღნიშნული ბანკის მიერ ნებაყოფლობითია და მისით სარგებლობა ბანკის კლიენტის ნებაზეა დამოკიდებული.

ევროკავშირი აგრძელებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხარდაჭერას COVID 19-ის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის ფარგლებშიც საქართველოსთვის გამოიყო 183 მილიონ ევროზე მეტი გადაუდებელი და მოკლევადიანი საჭიროებების მხარდასაჭერად. ასევე საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ანტიკრიზისული ეკონომიკური ჯგუფის სხდომაზე განაცხადა, რომ საქართველო მიმდინარე წლის ბოლომდე მიიღებს დაახლოებით 3 მილიარდი ამერიკული დოლარის დახმარებას შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან: ევროკავშირი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, გერმანიის განვითარების ფონდი და საფრანგეთის განვითარების სააგენტო. გეგმა, თუ როგორ მოხდება მოზიდული თანხის კრიზისის დასაძლევად გამოყენება, ფართო საზოგადოებას უახლოეს პერიოდში წარედგინება.



PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.<sup>2</sup>

www.pmo.ge  
 (+995 32) 2 37 73 07  
 რაფაელ ერისთავის ქ. 16  
 თბილისი, 0179, საქართველო



<sup>2</sup> მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com